ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად! # 42 (10080) •27 oqtomberi • 2014 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

რა, სად, როდის

„მარინას საცივი“ რომ არა, ანასეულის მოსახლეობას წყურვილით სული ამოხდებოდა

ალიონი. *მიუხედავად იმისა, რომ ანასეულელი მარინა ჩავლეიშვილი უბადლო კულინარია, მან ანასეულელებს თავი უფრო დაამახსოვრა და შეაყვარა საკუთარ ბოსტანში შემთხვევით აღმოჩენილი „საცივით“ (წყაროს წყლით). ზუსტად ვერ გეტყვით, უწყლოდ როგორ გააქთ თავი ანასეულის სხვა უბნებში, მაგრამ, „მარინას საცივი“ რომ არა, ხსენებული დასახლების შუა უბნის მოსახლეობას წყურვილით სული ამოხდებოდა.*

ანასეულში უწყლობა ბოლო ათი წლის ყველაზე მწვავე პრობლემაა და რაც დრო გადის, უფრო და უფრო მწვავდება. განსაკუთრებით აუტანელი სიტუაცია შეიქმნა ბოლო ორ კვირაში, როცა წყალს ხე და მიწა მიჰქონდა, ქსელში ის ვერ ფერადოვანი გახდა, შემდეგ კი საერთოდ გაქრა. ზაფხულობით დიდ ბედნიერებად უნდა ჩაითვალოს, თუ აქ ონკანიდან მოწანწკარე წყლით პირის გასველება მოასწარი.

გასული საუკუნის 60-იან წლებში მდინარე აჭის წყალზე აგებული ლიხაური-ანასეულის წყალსადენის სათავე ნაგებობა და მთლიანად წყალსადენის მაგისტრალი კარგა ხანია ამორტიზებულია, ანასეულის ცენტრში, 30 მეტრი სიმაღლის კოშკურაზე განთავსებული 600-ტონიანი ავზი კი დაცრეცილია და წყალს ვერ იკავებს.

ჯანდაცვის მომსახურების მიზნით, საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების შესახებ დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილებებია

ალიონი. *ქალაქ ოზურგეთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში, ჯანდაცვის მომსახურების გაწევის მიზნით, საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების შესახებ 6 ოქტომბერს დადებულ ხელშეკრულებაში, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ცვლილებები შეიტანეს.*

ხელშეკრულებაში მესამე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი შინაარსით:

1.1.1. მუხლი 3.1 ანგარიშსწორების წესი

ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2 პუნქტში გათვალისწინებული მომსახურების საფასურს „მხარეები“ წილობრივად იხდიან „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 18 აგვისტოს №3 დადგენილებისა და ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 13 აგვისტოს №3 დადგენილებით გათვალისწინებული, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუხლში ასახული თანხების ფარგლებში, ყოველთვიურად წარმოდგენილი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

ხელშეკრულების სხვა მუხლები უცვლელია.

sos!!!

ადნობდენ თუ არა ტყვიას კუსტარულად უცხოელები ოზურგეთის ყოფილ მანქანათმშენებლობის ქარხანაში

გაზეთი „ალიონი“

„ტყვიის წარმოება ოზურგეთის მოსახლეობის ჯანმრთელობას ემუქრება,“ ამ სათაურით გაზეთ „ალიონის“№41-ში ქ. ოზურგეთის, ყაზბეგის ქუჩის მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება დაიბეჭდა, სადაც ისინი ოზურგეთის მანქანათმშენებელ ქარხანაში ინდოელი ინვესტორების მიერ აკუმულატორების გადადამუშავებისას მოსახლეობისათვის ეკოლოგიურ საფრთხეებზე საუბრობდნენ და ხელისუფლებიდან ქმედით დახმარებას ითხოვდნენ.

გასულ სამშაბათს, ყაზბეგის ქუჩის დელეგაცია (7 კაცი) საკრებულოში მივიდა და სთხოვა საკრებულოს, დაინტერესებულიყვნენ შპს „მანსაროვის“ საქმიანობით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო გოგუაძემ საკრებულოს სხდომის საკითხების განხილვამდე მათ მოუსმინა. სხდომას ქ. ოზურგეთის მერი ბეგლარ სიორიძე ესწრებოდა.

– ზაფხულის დასაწყისიდან მოყოლებული, მთელი უბანი შეწუხებული ვართ, იმ უცნაური სუნით, რაც მანქანათმშენებელ ქარხანაში აკუმულატორების გადამუშავებისას იქმნება – ცალკე, როცა „პროუპას“ ამზადებენ და ცალკე ტყვიის გადადნობისას. ისინი ძირითადად ღამით მუშაობენ და ამ დროს სუნთქვა გვიჭირს. ვიცით, რომ შპს „მანსაროვს“ მსგავსი საამქრო სამტრედიაშიც ჰქონდა, მაგრამ იქაური მოსახლეობის მოთხოვნით აალებინეს. ახლა აქ აპირებენ დიდი საამქროს გაკეთებას, – განაცხადა ლალი ნაკაიძემ.

ნინო გოგუაძემ გასცა პასუხი, რომ ისინი გუშინ, გვიან ღამით მანქანათმშენებელ ქარხანაში იყვნენ, სადაც ტყვიის გადადნობა არ მიმდინარეობდა და ურჩია მოქალაქეებს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურისთვის მიემართათ.

ყაზბეგის ქუჩის მცხოვრებლებმა ელექტრონერგიის წყვეტილ მიწოდებაზეც გამოთქვეს პრეტენზია და ადგილობრივ მუნიციპალიტეტს „ენერგო პრო-ჯორჯიასთან“ სთხოვეს შუამდგომლობა.

მეორე დღეს ქ. ოზურგეთის მერი ბეგლარ სიორიძე ქალაქის საკრებულოს წარმომადგენლებთან, „გაერთიანებული წყალმომარაგების სერვისცენტრის“ დირექტორ დავით ცერცვაძესთან, „ენერგო პრო-ჯორ-

გვ-3

ტროტუარების პრობლემა ოზურგეთში

მარი კოძოევი

წლეულს მოვითმინოთ, გაისად გაკეთდება

ტროტუარი, ზოგადად, ქალაქის ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. სამწუხაროდ, საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში ტროტუარების ნაკლებობაა და რაც არის, ისიც მოუწესრიგებელია.

გასულ კვირაში ქალაქ ოზურგეთის რამდენიმე ქუჩის ტროტუარები გადავიღეთ და, ქვეითად მოსიარულე სხვა მოქალაქეებთან ერთად, ჩვენც რამდენჯერმე წავიბორძიკეთ.

„რადგან ამ პრობლემის მომგვარებელი ამდენი ხანია, არავინ გამოჩნდა, ჩემი ვიზიტის წინ სავალი ნაწილი მე თვითონ შევარემონტე ცემენტის წყალხსნარით. ცოტა ოკრო-ბოკრო კი არის, მაგრამ ფეხს ნამდვილად არ ირღვევა კაცი“, – გვითხრა თაყაიშვილის ქუჩაზე ერთ-ერთი ვიზიტის მეპატრონემ ნინო ჯაბუამ.

უკეთესი მდგომარეობა ქალაქის არც სხვა ქუჩებზეა. ტროტუარების მნიშვნელოვანი ნაწილი გარემოვაჭრეებს აქვთ მისაკუთრებული, დარჩენილი ნაწილი კი ისეთ მდგომარეობაშია, რომ მასზე გაუთხვრელად და მშვიდობიანად გავლა ალბათ, მხოლოდ ოჩოფეხებითაა შესაძლებელი.

მოკლედ, როგორც ახლა მოდაშია, აშკარად ირღვევა, ბატონებო, ქვეითად მოსიარულეთა უფლებები.

ვასტანგ ჭანტურია, *შპს „გზამშენი 18“-ის მთავარი ინჟინერი:* „მართლაც, ეს თემა პრობლემურია, მიუხედავად იმისა, რომ ტროტუარები კეთდება ქ. ოზურგეთში. შპს „გზამშენი 18“-მა შარშან ახალი ტროტუარები გააკეთა ნინოშვილის ქუჩაზე შპს „მედალფამდე“, გაბრიელ ეპისკოპოსისა და ჭანტურიას ქუჩის მონაკვეთებზე. წლეულს კაპიტალურად გაკეთდა წმ. გიორგის ქუჩის 600-მეტრიანი მონაკვეთი, სადაც ტროტუარებს დამცავი მოაჯირები გაუკეთდა“.

როგორც მეგზურებმა გვითხრეს, ქ. ოზურგეთში ძალიან საგანგაშოა დავით აღმაშენებლის და კოსტავას ქუჩებზე არსებული მდგომარეობა, სადაც №№1,3, 4 საჯარო და გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სკოლებისკენ მიმავალ ბავშვებს, იმის გამო, რომ ფეხით სავალი ნაწილი დაზიანებულია, ქუჩებში უწევთ სიარული.

გია მასხულია, *საგზაო სამსახურის სპეციალისტი:* „განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, სექტემბრის წყალდიდობამ კიდევ უფრო დაზიანა გზის ფეხით სავალი ნაწილი, გარდა სკოლის მოსწავლეებისა, აქ საბავშვო ეტლებით დაჰყავთ მშობლებს ბავშვები. ძალიან დიდი საფრთხის შემცველია ფეხით მოსიარულეთათვის ეს ქუჩა,

მერაბ წიგწიკაძე, *ქ. ოზურგეთის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი:* წლეულს ქალაქის მერიას ტროტუარების მოსაწყობად ბიუჯეტიდან თანხები გამოყოფილი არ აქვს (გაკეთდა მხოლოდ წმ. გიორგის ქუჩის მონაკვეთი). ამჟამად მიმდინარეობს ქალაქის ცალკეულ უბნებში წყლის სისტემების შეცვლის სამუშაოები, მოსახლეობის ეზოებში ონკანების მონტაჟით. ლოგიკურად, ჯერ წყლის მილები უნდა შეიცვალოს და შემდეგ ტროტუარები აღდგეს. ეს სამუშაოები ინფრასტრუქტურის სამინისტროსგან

7 დღის ამინდის პროგნოზი

27 ოქტომბერი ორშაბათი	28 ოქტომბერი სამშაბათი	29 ოქტომბერი ოთხშაბათი	30 ოქტომბერი ხუთშაბათი	31 ოქტომბერი პარასკევი	1 ნოემბერი შაბათი	2 ნოემბერი კვირა
მცირე წვიმა +12+20	მზე, +11+20	მზე, +11+20	მზე, +11+20	წვიმა +12+16	წვიმა +10+16	წვიმა +4+11

რა, სად, როდის

მეორე სკოლის მოსწავლეებს პროკურორი შეხვდა

ალიონი. *გასული კვირის პარასკევს პროკურორი, დავით შუანგირაძე მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეებს შეხვდა და ლექცია-სემინარი ჩაატარა.*

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. თავდაპირველად პროკურორი დაინტერესდა, რამდენად იცნობდნენ მოსწავლეები პროკურორისა და პროკურატურის ფუნქციებს. იგივე საკითხზე თვითონაც გააკეთა განმარტება.

შეხვედრაზე საუბარი იყო არასრულწლოვნების დანაშაულების პრევენციაზეც, მაგრამ ყველაზე დიდხანს დისკუსია ნარკოტიკების ირგვლივ გაგრძელდა. განიმარტა რა არის ნარკოტიკი. რა სასჯელს ითვალისწინებს ნარკოტიკის მოხმარება, შენახვა და რეალიზება. მოსწავლეების აზრით, ნარკოტიკის მომხმარებელს არ უნდა შეეფარდოს თავისუფლების აღკვეთა.

შრომის საჯარო სკოლა იუბილარია

ალიონი. *სოფელ შრომის საჯარო სკოლა დაარსებიდან 150 წელს ზეიმობს. როგორც სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა რუსუდან ცეცხლაძემ „ალიონთან“ საუბარში თქვა, საუკუნენახევრიან იუბილეს ოფიციალურად 7 ნოემბერს აღნიშნავენ.*

„სოფელ შრომის საჯარო სკოლა ერთ-ერთი უძველესი და სახელოვანი ტრადიციების მატარებელი საგანმანათლებლო დაწესებულებაა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. წლეულს დიდი იუბილე გვაქვს, ისტორიამ საუკუნე ნახევარი მითვალა ჩვენი სკოლის დაარსებიდან. საგულდაგულოდ ვემზადებით ოფიციალური ღონისძიებისათვის, რომელიც 7 ნოემბერს გაიმართება. სკოლის მუზეუმში გამოვფენთ შესაბამის ექსპონატებს, იბეჭდება ბუკლეტი „შრომის საჯარო სკოლა – 150“, , რომელშიც ქრონოლოგიის დაცვით, ლაკონიურად არის ასახული სკოლის 150-წლოვანი ისტორია, მოთხრობილია ყველა იმ პედაგოგზე, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ამ ისტორიაში, შრომელი მომავალი თაობების აღზრდასა და განსწავლაში“, – გვითხრა რუსუდან ცეცხლაძემ.

შრომაში, სკოლის საიუბილეო ღონისძიებაზე, სხვა სტუმრებთან ერთად, მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლებსაც ელოდებიან

ორ მატჩში ოთხი ქულა

ალიონი. *ოზურგეთის „მერცხალმა“ ორ საშინაო მატჩში 4 ქულა მოიპოვა. ქედის „ბეთლემთან“ 1:1 ითამაშა, ხოლო შემდეგ „ბორჯომი“ 2:0 დაამარცხა.*

„მერცხალს“ 10 ტურის შემდეგ 12 ქულა აქვს (3 მოგება, 3 ფრე, 4 წაგება, ბურთები 12-21)და გათამაშების ცხრილში მე-6 ადგილზე იმყოფება.

პირველი ლიგის „ბ“ზონას თერჯოლის „საპოვნელა“ ლიდერობს 21 ქულით; „გაგრას“და „ბეთლემს“ 19-19 ქულა აქვთ;

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად

არა ძალადობას! არა ფემიციდს!

მარი კოძოევი

24 ოქტომბერს ოზურგეთში, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებთან არსებული ქალთა კლუბის ინიციატივით, გაიმართა აქცია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. აქციის სლოგანი იყო: არა ძალადობას! არა ფემიციდს! აქციის მიზანი იყო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ძალადობის შესახებ, ყურადღების მიპყრობა ქალთა მიმართ გახშირებულ ძალადობაზე, ფემიციდის გაზრდილ რაოდენობაზე. ასევე მსჯელობა მათ გამომწვევ მიზეზებსა და პრევენციის გზებზე.

პარალელურად აქციები იმართებოდა ახალციხეში, ქუთაისში, ზუგდიდში,თელავში, გორში, მარნეულში,საგარეჯოსა და რუსთავში.

აქციის მონაწილეებმა მოაწყვეს მსვლელობა დემოკრატიული ჩართულობის ცენტრიდან თეატ-რალურ მოედნამდე. აქციაში მონაწილეობდნენ ქალაქის მერიაში დასაქმებული ქალბატონები. ასევე პოლიტიკური პარტიების და არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები, ჟურნალისტები.

აქციის დასრულების შემდეგ მისი მონაწილეები ოზურგეთის ცენტრალური ბიბლიოთეკის მიერ ორგანიზებულ შეხვედარას შეუერთდნენ.აღნიშნული შეხვედრის თემა იყო„ოჯახში ძალადობა“. მომხსენებელი არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები რეგიონის განვითარებისთვის“ ხელმძღვანელი ქეთევან ხიდაშელი. ასევე ფსიქოლოგი ნონა

მუხაშავრია, იურისტი ეკატერინე აბაშმაძე და ოზურგეთის პოლიციის სამმართველოს ინსპექტორ- გამომძიებელი გიორგი ნემსაძე.

პროექტის დასრულების შემდეგ

ზაფხულის ცხელ დღეებს ეშხი პროექტმა "ჩვენ ვწერთ სოფლის მატიანეს" შესძინა. სამმა თვემ სწრაფად გაირბინა. ერთმანთს ენაცვლებოდნენ პროექტის მონაწილეები და ბენეფიციარები. ერთმანეთზე უკეთესს ისტორიებს ისმენდნენ ბავშვები და საუკეთესო პიროვნებებს ეცნობოდნენ. ზოგიერთი მათი მეზობელი იყო. იცნობდნენ კიდეც, მაგრამ როცა უფროსები ძველ ამბებს მოუთხრობდა მათ, ბავშვებმა ისინი თავიდან აღმოაჩინეს. თითქოს ახლა გაიცნეს. მათ მიმართ მეტი მოკრძალება და პატივისცემის გრძნობა გაუნდათ. უფროსებს ესიამოვნათ პატარების ყურადღება და მათი ცხოვრებით დაინტერესება. ბავშვების ემოციებმა დაარწმუნა ისინი, რომ ამაოდ არ უცხოვრიათ.

ასე თუ ისე პროექტი დამთავრდა. დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც პროექტის მონაწილები ესწრებოდნენ. მათ გულწრფელად ისაუბრეს პროექტის შესახებ და გამოთქვეს სურვილი, რომ პროექტი გაგრძელდეს. კიდევ მეტი საინტერესო ადამიანი გაიცნონ და მეტი ისტორია მოისმინონ. მუზეუმის ფონდების მცველმა ქალბატონმა მანანა ლომაძემ კვლავ თანადგომა და დახმარება აღუქვა.

პროექტის მონაწილეთა საქმიანობა დადებითად შეაფასეს ქეთევან ხიდაშელმა /არასამთავრობო ორგანიზაცია "ქალები რეგიონის განვითარებისთვის" ხელმძღვანელი/ და ნინო ნიკოლაიშვილმა /ჟურნალისტი/.

პროექტის მონაწილეები დაფინანსებისთვის კიდევ ერთხელ მადლობას უხდიან ფონდ "ტასოსა" და არასამთავრობო ორგანიზაციას "ქალები რეგიონის განვითარებისთვის".

პროექტის მონაწილეები

ქიმიური ელემენტები – აუცილებელიც და საფრთხილოც

ბუნებაში არსებული ელემენტები, ის, რაც მენდელეევის სისტემაში სრულყოფილადაა წარმოდგენილი, რაც ადამიანთა ცხოვრებაში ყოველდღიურად აქტიურობს და ასრულებს მნიშვნელოვან როლს, ანასეულის №5 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, სწორედ ისეთივე აქტიური სახით წარმოადგინეს და აამეტყველეს კიდეც.

ნორჩ ქიმიკოსთა წრის წევრებმა (ხელმძღვანელი ლილი მენაბდე) სკოლაში მიწვეულ სტუმრებს 23 ოქტომბერს თეატრალიზებული სპექტაკლი „ორგანიზმის ქიმიური ჰარმონია“ აჩვენეს.

სპექტაკლი ზღაპრის სტილში იყო გადაწყვეტილი. პერსონაჟები მეფე და დედოფალი, თავიანთ სურვილებთან ერთად, ორიგინალურად იყვნენ წარმოდგენილნი. მათი ყოველდღიური ურთიერთობა ქიმიურ ელემენტებთან, ბავშვებმა ისე დახატეს, როგორც ეს ხშირად ხდება რეალურ ცხოვრებაში. კალიუმი, მაგნიუმი, რკინა, ქლორი, ფთორი, წყალბადი, ჟანგბადი, ნახშირბადი... ელემენტები თავად საუბრობენ თავიანთ დადებით და უარყოფით თვისებებზე, რაც არასწორი გამოყენების შემთხვევაში, არა თუ მარგებლობის, საფრთხის შემცველი გახლავთ. ადამიანის ორგანიზმსაც, სწორედ ამ ელემენტთა ჰარმონიული თუ არაჰარმონიული თანაცხოვრება განაგებს. მათი უდიდესი მნიშვნელობა არ იწვევს დავას და არა თუ ადამიანი, თავად სამყაროც, სადაც ადამიანს უწევს არსებობა, ამ ელემენტთა შემადგენლობითაა წარმოდგენილი.

უნებისყოფობამ და სურვილების არასწორად აყოლამ დააზიანა მთავარ პერსონაჟთა ჯანმრთელობა და სპექტაკლის ბოლოს სცენის მთავარი მოქმედი პირები უკვე ექიმები ხდებიან.

სპექტაკლს ესწრებოდნენ ოზურგეთის საჯარო სკოლათა ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლები, სკოლის დირექტორები, პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე ქ-ნი როზა გოგუაძე. სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს ბავშვებს, მასწავლებელს, სკოლას ლამაზი ღონისძიებისათვის და სამახსოვრო სურათებიც გადაიღეს.

ებოლა - რა უნდა ვიცოდეთ ვირუსის შესახებ

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გურიის განყოფილებაში ებოლას ვირუსით გამოწვეულ დაავადებების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების მიზნით, მობილური რეაგირების ერთი ბრიგადა შეიქმნა.

აღნიშნული ბრიგადა 24- საათიან მზადყოფნაშია და აღჭურვილია შესაბამისი პირადი დაცვისა და უსაფრთხოების აღჭურვილობით, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ეპიდკვლევის, ნიმუშების აღებისა და უსაფრთხო ტრანსპორტირებისათვის გამოიყენებენ.

„მობილური ბრიგადის შემადგენლობას (ეპიდემიოლოგი, ლაბორანტი და მძღოლი) გავლილი აქვთ სათანადო სწავლება და ფლობენ საჭირო პროფესიულ, ბიოუსაფრთხოების და ბიოდაცვის პრაქტიკულ უნარ - ჩვევებს. ასევე, გურიის განყოფილების სპეციალისტების მიერ, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დავალებითა და მეთოდური ხელმძღვანელობით, დიგეგმა და უკვე მიმდინარეობს გურიის მხარის ჰოსპიტალური სექტორის მედ-პერსონალის სწავლებები,“ -ებოლას ვირუსის პრევენციის წინააღმდეგ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გურიის განყოფილება მედიკოსებთნ შეხვედრებს რეგიონში არსებულ ყველა სამედიცინო დაწესებულებაში გეგმავს.

ადნობდენ თუ არა ტყვიას კუსტარულად უცხოელები ოზურგეთის ყოფილ მანქანათმშენებლობის ქარხანაში

ვიას“ ოზურგეთის სერვისცენტრის ხელმძღვანელ გია ნაკაიძესთან ერთად, ყაზბეგის ქუჩაზე მოსახლეობას შეხვდა.

მოსახლეობის მოთხოვნის თემა კვლავ მანქანათმშენებელი ქარხნიდან წამოსული უსიამოვნო სუნი, ელექტროენერგიის და წყლის მოწოდებაში პრობლემები იყო.

ბეგლარ სიორიძემ ექადიელებს კვლავ გვერდით დგომა და თანადგომა აღუთქვა.

„ენერგო პრო-ჯორჯიამ“ წინა დღით დენის მოწოდებაში პრობლემები გამოასწორა.

გაზეთი „ალიონი“ გასულ პარასკევს მანქანათმშენებელ ქარხანაში მივიდა. შპს „მასაროვის“დამფუძნებლები ერვინდ კუმარ შარმა და აშვანი მიტტალი ადგილზე არ იყვნენ. ისინი ოზურგეთის მანქანათმშენებელი ქარხნის მეპატრონეები არიან. თვითონ მანქანათმშენებლებს, ინდოელებიდან ოჯარით აღებული აქვთ ერთი საამქრო.

აკუმულატორების გადამამუშავებელი საამქრო ამჟამად არ მუშაობს. შევეცადეთ ინფორმაცია მიგვეღო, ადნობდნენ თუ არა კუსტარულად აქ უცხოელები ტყვიას.

— ამჟამად არ ადნობენ, ისე კი ადნობდნენ, ღამით შეშაზე მუშაობდნენ ისე, რომ ადგილობრივებს არ ანახვებდნენ მუშაობის პროცესს, — გვითხრა ერთ-ერთმა.

რაც შეეხება პლასმასის გადამუშავების პროცესს, ეს თემა არაა დახურული სასაუბროდ...

დავინტერესდით, რა ეტაპზეა ტყვიის გადამამუშავებელი საამქროს მშენებლობის საქმე.

ირმა თავაძე, შპს „მასაროვის“ დირექტორი: — საამქროს აშენების ინიციატორები შპს „ჯეოგადამამუშავებელია.“ ამ შპს-ს ინდოელი დამფუძნებელი ერვინ კუმარ შარმაა, ხოლო ქართველ პარტნიორს არ ვიცნობ. კი, უნდათ ასეთი საამქროს გაკეთება და ამისთვის ეკონომიკის სამინისტროს მიმართეს. მაგრამ ჯერჯერობით განხილვის სტადიაშია. ამ პროექტმა შემდეგ გარემოს დაცვის სამინისტროს ექსპერტიზა უნდა გაიაროს და საბოლოო თანხმობა ადგილობრივი ხელისუფლებისაგან უნდა მიიღოს. ამიტომ ამ ეტაპზე საამქროს აგების თემა გაურკვეველია.

— ყაზბეგის ქუჩის მოსახლეობა აღშფოთებულია იმ უცნაური სუნით, რაც ქარხნიდან მოდის, სავარაუდოდ, აკუმულატორის დაშლისას დაღვრილი სითხეების (გოგირდმჟავა) სუნით.

— არ ვარ კომპეტენტური ამ თემაზე პასუხი გაგცეთ. იმედია ყველაფერი გამოსწორდება.

— რამდენადაც ვიცით, მსგავსი საამქრო სამტრედიაში დახურეს.

—არა, შპს „ჯეოგადამამუშავებელი“ სამტრედიაში ასეთ საამქროს ამუშავებს.

როცა ქარხნიდან გამოვდიოდი, ერთ-ერთმა ნაცნობმა მუშამ მითხრა: — არ ვიცი, დამეთანხმებით თუ არა, მაგრამ, ჩემი აზრით ტყვიით მოწამვლა ტყვიით სიკვდილის ტოლფასია.

ცვლილებები და დამატებები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 22 ოქტომბრის სხდომამ მხარი დაუჭირა 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აღნიშნული საკრებულოს 2014 წლის 13 აგვისტოს № 3 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას.

ბიუჯეტი შემოსავლებისა და გადასახდელების ნაწილში გაიზრდება 133,0 ათასი ლარით, აქედან არასაგადასახადო შემოსავლები — 86,0 ათასი ლარით, კერძოდ:

— შემოსავლები ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის — 18 ათასი ლარით (გეგმა — 105 ათასი ლარი, სულ ფაქტობრივი შემოსავალი — 127,7 ათასი ლარი);

— მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისთვის — 15 ათასი ლარით (გეგმა — 11,3 ათასი ლარი, სულ ფაქტობრივი შემოსავალი — 30,3 ათასი ლარი);

— შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან — 51,0 ათასი ლარით (გეგმა — 0, სულ ფაქტობრივი შემოსავალი — 51,9 ათასი ლარი);

— სხვა ადგილობრივი შემოსავალი (ბანკიდან) — 2,0 ათასი ლარით (გეგმა — 150,1 ათასი ლარი — სულ ფაქტობრივი შემოსავალი — 171,2 ათასი ლარი);

შემოსავალი კაპიტალის ოპერაციებიდან გაიზრდება 47 ათასი ლარით, კერძოდ:

— ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან — 15 ათასი ლარით (გეგმა — 7,5 ათასი ლარი, სულ ფაქტობრივი შემოსავალი — 29,6 ათასი ლარი);

— შემოსავალი მიწის გაყიდვებიდან — 32 ათასი ლარით (გეგმა — 67,5 ათასი ლარი, სულ ფაქტობრივი შემოსავალი — 99,8 ათასი ლარი).

დადგენილების მიხედვით გაიზრდება:

— მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობრივი სარგო — 34,0 ათასი ლარით;

— ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის საწვავ-საპოხი მასალების ხარჯი — შესაბამისად 10-10 ათასი ლარით;

— დასუფთავების ღონისძიებისა და კომუნალური მომსახურების ხარჯები — შესაბამისად 25,0 და 33,0 ათასი ლარით.

— კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის ხარჯები — 9,0 ათასი ლარით; — ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მივლინების ხარჯები — 2,5 ათასი ლარით;

— საფოსტო მომსახურების ხარჯები — 2,0 ათასი ლარით;

— ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის მომსახურების ხარჯები — 1,5 ათასი ლარით;

— წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის ხარჯები — 6,0 ათასი ლარით.

— ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის ამაღლების მივლინების, ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) და ტრანსპორტის ხარჯები — შესაბამისად 5,1, 0,4, 4,2 და0,5 ათასი ლარით;

შემცირდება: ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის შრომის ანაზღაურების ხარჯები — 5,1 ათასი ლარით.

სხდომაზე ცვლილებები შეიტანეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის სახელმწიფო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2014 წლის 13 აგვისტოს დადგენილებაში, ასევე „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების აღიარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2014 წლის 27 აგვისტოს დადგენილებაში

შემზღუდავი ბარიერის აღდგენა პრობლემურია

ალიონი. ქ. ოზურგეთის საკრებულოს სხდომაზე, ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე საგზაო დაგეგმარების საკითხი განიხილეს.

საბავშვო ბაღებთან, საჯარო სკოლებთან და სასწავლო დაწესებულებებთან უნდა დაყენდეს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი, ხოლო №№2,3,4, 5 საჯარო სკოლებთან და №№1,4,9 საბავშვო ბაღებთან მოეწყოს შემზღუდავი ბარიერი სტანდარტების დაცვით და შესაბამისი საგზაო ნიშნებით, ასევე მერაბ კოსტავას ქუჩაზე მდებარე, წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლასთან მოეწყოს ორი ცალი ყვითელი ფერის ციმციმა, დაიხაზოს ქვეითად მოსირულეთა გადასასვლელი და დაიდგას 6 საგზაო ნიშანი.

თუ რატომ არ აღდგენდნენ მერაბ კოსტავას ქუჩაზე შემზღუდავ ბარიერებს, როცა იქ აუცილებლად უნდა იყოს შემზღუდავი ბარიერი, — ამ თემაზე კითხვა დეპუტატმა ლევან მგელაძემ დასვა.

ქალაქის მერმა, ბეგლარ სიორიძემ უპასუხა, რომ საპატრულო პოლიციის რეკომენდაცია იქნა გათვალისწინებული.

ლევან მგელაძე: —თუ სამრევლო სკოლის წინა მონაკვეთი ბავშვებისათვის უსაფრთხოა, რატომ დგას იქ ყოველდღიურად ორი საპატრულო ეკიპაჟი? 200 ბავშვი საფრთხეშია, ერთი კაცის პრინციპს ეწირება მათი უსაფრთხოება. აიღოს ამ თემაზე საკრებულომ შესაბამისი პასუხისმგებლობა. სად რა დაიდგას, სპეციალისტების რეკომენდაციებით, ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ და არა საპატრული პოლიციამ.

თემაზე დებატები გაგრძელდა, რაზედაც ქ. ოზურგეთის მერმა განაცხადა, რომ მომავალ საკრებულოს სხდომაზე საპატრულო პოლიციის უფროსს მიიწვევენ. ციმციმას დადგმა ხელს არ უშლის ბარიერს და თუ პატრული ვერ დაგვარწმუნებს ბავშვების უსაფრთხოებაში, შემზღუდავ ბარიერებს დადგამენ.

კენჭისყრისას დეპუტატებმა ლევან მგელაძემ, ნათია შარაშენიძემ და თამარ ნადირიძემ ამ სახით საკითხის დამტკიცებას ხმა არ მისცეს

ყვითელი ბარათი ხელისუფლებასა და საპარლამენტო ოპოზიციას

მე ანა მქვია, მეც პატარა ქართველი ვარ, ის ქართველი, ვისმა მშობლებმაც ათიოდე წლის წინათ, იძულებით. დატოვეს სამშობლო და უცხო ქვეყნის ხიზნები გახდნენ. სხვა მილიონნახევარი ქართველისაგან განსხვავებით, რომელთა უმეტესობამ ევროპასა და ამერიკას მიაშურა, ჩვენ კორეაში, კერძოდ, სეულში ამოვყავით თავი.

მოკლედ, დღესდღეობით ერთი სეულელი და არა სულელი ქართველი გოგონა ვარ, ნორმალურად ვერკვევი ფერებში, ვიცი, რა არის შავი და თეთრი, ბნელი და ნათელი, კარგი და ცუდი...

ხშირად ჩემთან ვპატიჟებ სეულელ მეგობრებს, ვრთავ ტელევიზორს ქართულ არხებზე, მინდა, რომ ქართული ადათ-წესებით, კულტურით მათ თავი მოვაწონო, მაგრამ, როცა ტელეეკრანზე მანდ მიმდინარე პროცესებს ვხედავ, მართალი გითხრათ, ხანდახან მრცხვენია კიდეც, რომ ქართველი ვარ. მი-ხ-ვდებით, ალბათ, — რატომაც.

ჯერ სრულწლოვანი არა ვარ, მაგრამ რომც ვიყო, საარჩევნო ხმას არც ერთს გაღირსებდით და არც მეორეს! რა ამბავია ამდენი კინკლაობა, ქიშპი, გაწევ-გამოწევა, ცემა-ტყეპა, მკვლელობა და სხვა ათასგვარი უბედურება?! ვინ მოგცათ იმის უფლება, პირადი ინტერესებისა და ამბიციების გამო, გაწიროთ და გააცამტვეროთ მთელი ქვეყანა. მისი წარსული, აწმყო და მომავალი?!

დემოკრატიულ საზოგადოებაში პოზიცია და ოპოზიცია ქვეყნისა და ხალხის სამსახურში უნდა იყოს, ქვეყნის შენება-განმტკიცებას და ხალხის კეთილდღეობის საქმეს უნდა ემსახურებოდეს. მაინტერესებს, თქვენის ემსახურებით, ერთმანეთს თვალებს რომ უშტიმავთ და სხვა არაფერი გახსოვთ?! საკუთარი ჯამაგირის გაზრდის გარდა, რომ არაფერზე ფიქრობთ?! ვინ ხართ ასეთი გაუმაძღრები?! რით ვერ დაადგა საშველი თქვენი ავადმყოფურად გაგანიერებული სტომაქების ამოვსებას?!

თუ დაგავიწყდათ, შეგახსენებთ, რისთვის არ დაუჭირა მხარი ხალხმა ხელისუფლებას. რისთვის და ხალხს რომ თავზე აშარდავდნენ და წვიმაო, ეუბნებოდნენ. სამწუხაროდ, ახალი ხელისუფლების გაწვიმებულსაც შარდის სუნი ასდის. ამიტომ, ერთიცა და მეორეც გაფრთხილებას იმსახურებთ და თუ ეს საქმეს უშველის, საზღვარგარეთ მყოფი ქართველების სახელით, გიგზავნით ყვითელ ბარათს.

ანა სეულელი

იუბილარი

ვულოცავთ!

ღირსეულ პიროვნებას, მეცნიერს, პოლიტიკოსს, პენსიონერთა რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელს ბატონ გურამ ცერცვაძეს დაბადების დღეს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები თემურ ბურჭულაძე, ეროდი გორდელაძე, გელა ჩავლეიშვილი.

ამაგდარი იუბილარი

31 ოქტომბერს გურამ ცერცვაძეს 70 წელი შეუსრულდება. მას ყველა თაობის ოზურგეთელი იცნობს, ვითარცა ამაგდარ, მჭევრმეტყველ, ერუდირებულ, ღვაწლმოსილ, კაცთმოყვარე და საოცრად თბილ ადამიანს. ეს მცირე ჩამონათვალია იმ ღირსებისა, რაც, ამ ერთი შეხედვით, „უბრალო“ კაცს ყველასაგან განასხვავებს.

გურამ ცერცვაძეს მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება კაცურკაცობით უცხოვრია. იგი 1944 წელს ოზურგეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ მერიაში პედაგოგის ოჯახში დაიბადა. წარჩინებით დაასრულა სოფელ კონჭკათის საშუალო სკოლა და პირველივე წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო ანასეულის საკავშირო სუპტროპიკული ინსტიტუტის ეკონომიკის განყოფილებაში და აქვე მოამზადა სამეცნიერო დისერტაცია თემაზე: „საქართველოს სუბტროპიკული მეათე ზონის საბჭოთა მეურნეობაში კაპიტალური დაბანდებისა და ძირითადი ფონდების ეფექტიანობა“.

გურამ ცერცვაძე სხვადასხვა დროს გახლდათ: ანასეულის სრულიად საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკი: საზოგადოება „ცოდნის“ მახარაძის რაიონის ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი; მახარაძის რაიონის სოფელ მახარაძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე; დაბა ლაითურის აგროსამრეწველო კომბინატის მთავარი ეკონომისტი; ოზურგეთის კომერციული საშუამავლო საწარმოს (ნავთობაზის) მთავარი ინჟინერი; ოზურგეთის უსინათლოთა საზოგადოებრივი კავშირის დირექტორი.

არის 4 მონოგრაფიული ნაშრომისა და 40-მდე სამეცნიერო სტატიის ავტორი.

გურამ ცერცვაძის ბიოგრაფიიდან მოკლე ამონარიდი იმიტომ მოვიხმე, რომ მკითხველს სრული შთაბეჭდილება შეექმნას მის ღვაწლზე საზოგადოებრივ სფეროში. ნიშანდობლივია ის, რომ ბატონი გურამი დღესაც მუხლჩაუხრელად, ახალგაზრდული შემართებით განაგრძობს აქტიურ საქმიანობას. იგი არის პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ აქტივისტი. ფასდაუდებელია მისი ღვაწლი კოალიციის გამარჯვებაში. ამჟამად გურამ ცერცვაძე საქართველოს პენსიონერთა ორგანიზაციის გამგეობის წევრია და პენსიონერთა რეგიონულ ორგანიზაციას თავკაცობს.

ახლახანს მისი ავტორობით გამოიცა წიგნი „გურიის რეგიონის აგრარული სექტორის ეკონომიკა“, რომლის პრეზენტაციაც უახლოეს დღეებში. წიგნში გაშუქებულია რეგიონის აგრარული ეკონომიკის ძირითადი მიმართულებები და იგი განკუთვნილია სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, ეკონომისტების, ფერმერებისა და ფართო საზოგადოებისათვის. წიგნის თანაავტორია გურამ ღლონტი.

საიუბილეო თარიღს ვულოცავ ამაგდარ იუბილარს! ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, წარმატებებსა და გამარჯვებებს ვუსურვებ პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში საქართველოსა და ჩვენი ქალაქის საკეთილდღეოდ!

ნინო კუკულაძე,
მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს პრესისა და საზ.ურთიერთობის სამსახურის უფროსი.

წარსულის ფურცლები

ვენეციის ელჩი გურიას

საქართველოს თვალწარმტაცი მხარე გურია, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ევროპისა და აზიის ისეთ სასიცოცხლო შესაყარზე მდებარეობდა, რომ მისი ხშირი სტუმრები იყვნენ როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის დიპლომატები.

ერთ-ერთი ასეთი ბრძანდებოდა ვენეციის რესპუბლიკის ელჩი ირანს ამბროზიო კონტარინი, რომელიც გურიას 1474 წლის ივნისში ეწვია.

ვენეციელი პოლიტიკოსი ამ ცნობას კიდევ უფრო ავიწროებს და იმ რიცხვსაც კი ასახელებს, როდესაც მან გურიის მიწაზე დადგა ფეხი (29 ივნისი).

ვენეციის ელჩი ირანისაკენ სხვა გზითაც შეიძლება წასულიყო, მაგრამ მან ყველა მათ გურიაზე გამავალი გზა აირჩია.

ეს გზა იმ რთულ დროს, როდესაც შავი ზღვის აუზში ოსმალები დაპარპაშებდნენ, შედარებით უფრო მშვიდობიანი გამოდგა და ელჩმაც უხიფათოდ დატოვა შავი ზღვის სანაპიროც.

ამაში მას დიდად შეუწყო ხელი მისი „ბატონის ძმამ“, ვინმე ბერნანდინომ, რომელმაც აქაურ სიტუაციებში გაუცნობიერებელ ელჩს სავსებით სწორად დაუშალა ტანას მონახულების განზრახვა.

გურიას მასთან ნავით მისულმა მეორე ვენეციელმა კარგად იცოდა, თუ რას ჩადიოდნენ ოსმალები ტანას და ელჩიც საშინელ ხიფათს ვერ აცდებოდა, თუ იქით გაემგზავრებოდა.

კონტარინი საფუძვლიანად შეაშინა ამ ინფორმაციამ და მაშინვე აიღო კიდეც ხელი ადრინდელ გეგმაზე და გურიიდან პირდაპირ ახალციხის გზით გამგზავრება ამჯობინა.

თუმცა, უცბად მაინც არ გამგზავრებულა ქვემო გურიიდან და ინტერესითაც მოავლო თვალი არა მარტო ბათომს, არამედ გურიის ზოგ სხვა პუნქტსაც.

1474 წელს გურიას უკვე მგლის მადით უცქეროდა ბიზანტიის იმპერიისა და ტრაპიზონის საკეისროს დამამხობელი ოსმალეთი, მაგრამ ამ დროს ჯერ კიდევ არ ეცალა მისთვის და გურიაც მწარე მომავლის განცდებით ცხოვრობდა.

ასეთი განცდები არც ციხე-ქალაქ ბათომს უნდა კლებოდა, რომლის სტუმარიც ვენეციის ელჩიც გახლდათ.

სამწუხაროდ, მას არც ისე ფართოდ მოუვლია თვალი ბათომის საციხისთავო ქვეყნისათვის, რომ სხვა „ბათომები“ (ზემო, შუა) შეენიშნა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ამცირებს იმ ცნობათა ღირებულებას, რომელიც მან შემოგვთავაზა.

სამი „ბათომი“ არათუ იმ დროს, დღესაც არაა ცნობილი ბევრისათვის. უამისოდ კი ბათომსა და მის ქვეყანაზედ ძნელია რისამე სწორად გაცნობიერება.

ბათომის, ანდა, უფრო სწორად, ქვემო ბათომის ციხე, რომელსაც ხალხი „თამარის ციხედ“ მიიჩნევს, ადრეშუასაუკუნეთა ციხეა, რომელსაც იმთავითვე გააჩნდა თავისი გამოკვეთილი საციხისთავო ქვეყანა და მისი ციხისთავიც.

ქვემო ბათომის ციხისთავები დღემდე არავის უკვლევია და ამის გამო ეს საკითხი დღემდე არსებითად ხელუხლებელია, მაგრამ ვენეციის ელჩის დროზე მაინც ხერხდება ერთგვარი ვარაუდის გამოთქმა.

XV საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც ვენეციელი ამბროზიო კონტარინი ესტუმრა ქვემო ბათომს, მის ციხისთავად შეიძლება მოვიაზროთ ამ ციხის შემავალი ქვეყნის რომელიღაც აზნაური მაჭუტაძეთა, ცინცაძეთა, ფახრანიძეთა, ფაყვაძეთა თუ რომელიმე სხვა კეთილშობილი სახლიდან.

თუ უფრო დავვიწროვდებით, ეს სია შეიძლება ორ სააზნაურო სახლამდე (გვარი) დაგვეყვანა, რომელშიც პირველობას, ალბათ, ვერც ერთი შეეცილებოდა იმ დროს. ეს გალდათ შუაბათომელი იესე ცინცაძე და მისი დიდაზნაურული სახლი.

ამ მოსაზრების ავკარგს ნათელს მოჰფენს საგანგებო ძიება, მანამდე კი ეს ვარაუდი უნდა ვიკმაროთ.

სამწუხაროდ, ელჩის ჩანაწერებიდან არ ჩანს შეხვდა იგი ქვემო ბათომის ციხისთავს, ქვემო გურიის ერისთავს ან გურიის მთავარ ერისთავს, რომელსაც „გორბოლას“ უწოდებს.

ამ პირებთან შეხვედრით, მართალია, ელჩი არც ისე უნდა ყოფილიყო დაინტერესებული, მაგრამ მხარის პატრონებს აშკარად მეტი ფხა უნდა გამოეჩინათ და რომელიმე მათგანი მაინც უნდა შეხვედროდა მსოფლიო სახელის ვენეციის ელჩს, რომელიც დიდი ხალისით მიეშურებოდა ირანის მბრძანებელ უზუნ ჰასანთან შესახვედრად.

გარდა ბათომის (ანუ ქვემო ბათომისა) ელჩი ყურადღებას ამახვილებს კიდევ გურიელის ზღვის სანაპირო ერთ ქალაქზე, რომლის სახელის სწორად ჩაწერაც მას სამწუხაროდ, ვერ მოუხერხებია და დღემდე ისტორიკოსთა თავსატეხად გამხდარა. ეს გახლავთ „კალციხეა“, რასაც მეცნიერები „ქაჯთა ციხის“ დამახინჯებად მიიჩნევენ.

გვიანშუასუკუნეებში კი „ქაჯთა ციხე“ ქვემო გურიის ისეთ ძნელად ასაღებ ციხეს ერქვა, როგორც ბიზანტიური ხანის „პეტრას ციხე“ და ქალაქი „იუსტიანე“ გახლდათ (თანამედროვე ციხისძირის გორა-ბორცვების სიძველენი).

ამბროზიო კონტარინი ამ ქალაქს არც თუ ისე მნიშვნელოვან სავაჭრო ადგილად რაცხს, მაგრამ ის მას, ალბათ, ვენეციის მაღალი გადასახედიდან უცქეროდა.

თუ ეს აზრი სწორია, მაშინ ელჩის დასკვნაც გასაგებია. მაგრამ ჩვენ იმ დროს ასეთ სიმაღლეს შორიდან ველოლიავებოდით მხოლოდ და ისევ ჩვენი ქაჯეთის ციხის ქალაქობაზე უნდა გვჭეროდა თვალი, სადაც გურული წარმოების აბრეშუმიც იყიდებოდა და სოფლის მეურნეობის ზოგიერთი ნაწარმითაც ვაჭრობდნენ.

ელჩს შეუმჩნეველი არ რჩება, რომ ამგვარი მეურნეობითა და ვაჭრობით ხალხის ცხოვრების ეკონომიკური დონე ვერ ამაღლდებოდა და „დიდ სიღარიბეში“ უხდებოდა წუთისოფლის გალევა.

ვენეციის ელჩის გურიიდან წასვლის შემდეგ პირთსისხლიანმა ოსმალომ მაინც გამოავლინა ჩვენი ქვეყნისადმი ავი ზრახვები და 1545 წელს ბასიანში (სოფ. სოხაისტას) კიდეც შეძლო ქართლისა და იმერეთის მეფეთა და გურიის მთავრის შეერთებული ლაშქრის ძლევა. ორი წლის შემდეგ გურიასაც ჯიქურ მიუხდა და სასტიკი ბრძოლით გონიოს ციხეც წაართვა.

ეს დიდი უბედურება და გურია - ოსმალეთის სამსაუკუნოვანი ომის დასაწყისი იყო. სწორედ ამ დროს დაკარგა გურიამ თავისი მიწა-წყლის თითქმის ნახევარი, ქვემო გურიის უდიდესი ნაწილი ბათომ-კახაბერი, ჩაქვის ხეობა, კინტრიშის ხეობა და XVIII საუკუნის 70-იან წლებში თავისი საზღვარი გურიის სამთავროსთან მდინარე ცხრაფონაზე გადმოწია. ასე დარჩა ის XIX საუკუნის 30-იან წლებამდე, ვიდრე ქობულეთის ბეგი ჰასან თავდგირიძე ამ საზღვარს ქვეყნის კიდევ უფრო შიგნით გადმოსწევდა და სასაზღვროდ მდინარე ჩოლოქს არ აქცევდა.

ამ დროს გურიაში რუსის ჯარი იდგა, მაგრამ რუსეთის ხელისუფლება არ აყვა ფაშობის ტიტულის მოწადინე ბეგის თავხედურ ქცევას და არც ისე განუცდია ქრისტიანული გურიის რამდენიმე ისეთი სოფლის დაკარგვა, როგორიც იყო ლეღვანი, ჩაიხედენა, სკურა, გაღმა ქაქუთი, ნაცხავათევი და ზემო აჭი.

კიდევ კარგი, რომ აჭის წმიდა გიორგის ეკლესიამ შეაჩერა ვერაგი მოძალადე, თორემ შეიძლება ოსმალეთ-გურიის საზღვარს ზემო ნიაბაურიც

მოსახლეობის საყურადღებოდ!

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა) იპ „ოზურგეთის სერვისცენტრი“ აფრთხილებს მოსახლეობას:

ქალაქის დასუფთავების და წესრიგის უზრუნველყოფის წესების დაუცველობა, ორგანიზაციებისათვის მიმაგრებული ან/და მიმდებარე ტერიტორიის მოუვლელობა, მასზე სამშენებლო და სხვა ნარჩენების თვითნებურად დაყრა,

– გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 200 ლარით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას – 1000 ლარით;

განმეორების შემთხვევაში:

– ფიზიკური პირი დაჯარიმდება 1000 ლარით, იურიდიული პირი – 5000 ლარით;

ქალაქის ტერიტორიაზე პირუტყვის ყოფნა:

– გამოიწვევს პირუტყვის მესაკუთრის დაჯარიმებას 20 ლარით;

ბულვარში, პარკში, სკვერში და ქალაქის სასაფლაოზე, წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოფნა გამოიწვევს პირუტყვის მესაკუთრის დაჯარიმებას 50 ლარით;

საფუძველი: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 148.

სამგლოვიარო განცხადებები



სახელდებულ ოზურგეთელთა რიგებს კიდევ ერთი ღირსეული კაცი გამოაკლდა: ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ბატონი **ნოდარ თავართქილაძე**.

ნოდარ თავართქილაძის პანაშვიდი შედგება ოთხშაბათს, 30 ოქტომბერს, დაკრძალვა ხუთშაბათს, 31 ოქტომბერს.

გაზეთ ალიონის რედაქცია თანაუგრძნობს ლელა და მაია თავართქილაძეებს მამის **ნოდარ თავართქილაძის** გარდაცვალების გამო.

ნუგზარ ასათიანი, ეთერ ქადეიშვილი, ნინო ნიკოლაიშვილი, გია გოგოლაძე, თემურ მარშანიშვილი, მარი კოძოევი თანაუგრძნობენ ლელა და მაია თავართქილაძეებს მამის **ნოდარ თავართქილაძის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე